

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 1+4 პროგრამის ფარგლებში  
არაქართულენოვანი სტუდენტების მიერ სწავლა-სწავლების  
შეფასება

ციცინო ხევსურიანი

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და  
ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ციცინო ხევსურიანი

26/06/2017

# სარჩევი

აბსტრაქტი .....	5
Abstract .....	6
შესავალი - საკითხის აქტუალობა.....	7
კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები.....	10
ლიტერატურის მიმოხილვა .....	11
საქართველო როგორც მრავალეთნიკური ქვეყანა - ეთნიკური ჯგუფების ზოგადი დემოგრაფიული მდგომარეობა.....	11
ინტერკულტურული განათლების აუცილებლობა - საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო აღიარება.....	13
უმადლესი განათლების ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისთვის - საშეღვათო პოლიტიკის შესახებ.....	19
მაღალი აკადემიური მოსწრების ხელისშემშლელი ფაქტორები ეთნიკურ უმცირესობებში. ..	21
კვლევის მეთოდოლოგია .....	23
დიზინი - შემთხვევის შესწავლა.....	23
გამოყენებული მეთოდები.....	24
შერჩევა .....	25
პროცესის აღწერა.....	26
კვლევის შედეგები .....	28
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 1+4 პროგრამის დაარსებისა და მიმდინარე ცვლილებების საჭიროების შესახებ - აკადემიური პერსონალისა და კოორდინატორების ინტერვიუების შედეგები.....	30
სტუდენტების მიღება და მათი ჯგუფებში გადანაწილება. ....	32
სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასება - ყოფილ და აქტიურ სტუდენტთა ინტერვიუებისა და ანკეტირების შედეგები.....	43
შედეგების განხილვა - კვლევის შეზღუდვები .....	47
დასკვნა და რეკომენდაციები.....	48
რეკომენდაციები შემდეგი კვლევისთვის.....	50
დანართები:.....	50
ცხრილები და დიაგრამები .....	50

დანართი 1 .....	51
დანართი 2 .....	52
ბიბლიოგრაფია .....	71

## აბსტრაქტი

არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაცია საქართველოში უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტსა და გამოწვევას წარმოადგენს. უმაღლესი განათლების სისტემა ამ ამოცანის შესრულების მნიშვნელოვანი ბერკეტია.

წარმოდგენილი ნაშრომი აღწერს კვლევას, რომელიც ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 1+4 პროგრამის ფარგლებში. კვლევა წარმოადგენს შემთხვევის შესწავლას. მის ჩასატარებლად სხვადასხვა სახის მეთოდი იქნა გამოყენებული - გამოკითხვა, სიღმისეული ინტერვიუ, მეორადი მონაცემების ანალიზი. კვლევაში მონაწილეობდნენ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, მოსამზადებელი და საბაკალავრო საფეხურის მოქმედი, ისევე როგორც ყოფილი სტუდენტები.

კვლევის შედეგები გვაჩვენებს, რომ გამოკითხული არაქართულენოვანი სტუდენტების უმრავლესობა დადებითად აფასებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 1+4 პროგრამის ფარგლებში სწავლა-სწავლების პროცესს, საუნივერსიტეტო გარემოს, ლექტორების დამოკიდებულებას სტუდენტებისა და სასწავლო პროგრამის მიმართ, ისევე როგორც იმ სიახლეებს, რომლებიც ბოლო წლებში პროგრამის ფარგლებში გატარდა.

კვლევა, ასევე, შეიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც დაეხმარება უნივერსიტეტს ამ პროგრამის შემდგომ დახვეწაში.

საკვანძო სიტყვები: არაქართულენოვანი სტუდენტები, ეთნიკური ჯგუფები, სასწავლო პროცესი, სასწავლო პროგრამა, ინტეგრაცია.

## **Abstract**

Integration of Non-Georgian population is one of the important challenges of the multiethnic states like Georgia. Higher Education system plays an important role in this process.

The case study describes current challenges and achievements of the 1+4 state program at Ilia State University and provides recommendations for further improvement of teaching and learning as well as integration processes of national minority students in the university.

The results gathered through in-depth interviews, survey of students and secondary data analysis reveals positive attitudes of stakeholders towards teaching and learning process, climate, lecturers attitude toward students and training program, highlights effectiveness and importance of ongoing and implemented strategic changes and provides insights for further development of the program.

**Key words:** Non\_Georgian Students, Ethnic group, integration, training program, Teaching-learning process.